შეთანხმება №507-1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2014 წლის 1 სექტემბრის №507 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

თბილისი 24 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის მოადგილე ეკატერინე ქავთარაძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ თვითმმართველი თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (შემდგომში "მიმწოდებელი") დირექტორი ბადრი კუკულაძის სახით თანხმდებიან მასზედ, რომ 2014 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #507 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილებები:

1. 4.1.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.2. მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

2. გაუქმებულ იქნას 4.1.3 და 4.1.4 პუნქტები.

3. 4.2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2.1. მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოპროფილაქტიკისათვის და „შემსყიდველის“ მიერ განსახორციელებელი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საჭირო მასალისა და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით და იმუნოპროფილაქტიკის შესახებ ანგარიშგების წარმოება (მ.შ. სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული საქონლისა და სახარჯი მასალების ხარჯვის თაობაზე ანგარიშები დადგენილი ფორმით)“.

4. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, უცვლელი რჩება.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2014 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული №507 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

6. შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, საიდანაც ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“ და ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	ა(ა)იპ თვითმმართველი თემის “მცხეთის მუნიციპალიტეტის“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
გენერალური დირექტორის მოადგილე:	დირექტორი
_____ ეკატერინე ქავთარაძე	_____ ბადრი კუკულაძე
ბ.ა.	*ბ. ა.*